გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სა პოლიტიკო და სა ლიტერატურო გაზეთი 1877—1891

სასწავლებელი და პანსიონი

სპ. ზ. ჯორჯიკიასი.

(ქუთაისში)

პირველ სექტემბრიდგან პანსიონერებს მიიღებს წლიურად 180 მანეთად. გარედგან მოსიარულეთაგან აიღებს თვეში სამ-სამს მანეთს მოსამზადებელს და პირველს კლასში მომზადებისათვის. ყმაწვილებს ამზადებს გიმნაზიისა, პროგიმნაზიისა, რეალურ, სამოქალაქო და სხვა სასწავლებლის ყველა კლასისათვის. ზაფხულშიაც ქუთაისში რჩება.

(13—1)

ტფილისი, 18 ივნისი

წინა წერილიდგან*) ვნახეთ, თუ რა ზერე-ქვერეობა გამოიარა პირველ-დაწყებითმა სასწავლებელმა, განსაკუთრებით-კი საეკკლესიო-სამრევლო სასწავლებელმა, რომელსაც ბედი ხან უღიმოდა და ცხოვრებაში ფართო ადგილს აჭერინებდა, ხან ზურგს უბრუნებდა და დააქვეითებდა ხოლმე. ამისი მიზეზი პირველში უფრო ის იყო, რომ რუსეთში ჯერ კიდევ ყველას, და რა ყველას, უმრავლესობასაცკი, არა ჰქონდა კარგად დანახული აუცილებელი საჭიროება საერთო განათლებისა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ხალხის, ერის საერთო განათლებას თვით ევროპაშიაც-კი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს მიექცა ჯეროვანი ყურადღება—პრუსიაში 1808—1812 წლებში, საფრანგეთში მეოც-და-ათე წლებში, როცა გიზოს სამინისტრო იყო, და ინგლისშიკი უფრო გვიან, 1848 წლის კანონ-დებულების გამოცემის შემდეგ.

მანამდე ყურადღება უფრო უმაღლესსა და შუათანა სასწავლებლებსა ჰქონდათ მიქცეული—ყველა უნივერსიტეტისა, გიმნაზიისა, სატეხნიკო და სხვა სპეციალურ სასწავლებლისათვის ჰზრუნავდა, თავად-აზნაურობისა და ვაჭრების შვილები სწავლობდნენ და გლეხკაცობა-კი სრულიად უზრუნველად იყო თავ-მინებებული, იმათი გონებრივადა და ზნეობრივად აღზრდა, ორიოდე კერძო სამადლო საზოგადოებას გარდა, ფიქრადაც არავის მოსდიოდა. ასე იყო ევროპაშიაც, სადაც მთავრობა აცხადებდა, დიდად თანავუგრძნობ ერის განათლების საქმესაო, მაგრამ ნაპოლეონის ბრძოლათა შემდეგ საფინანსო ვითარება მეტად ახვლანჯულ-დახვლანჯული ჰქონდა და ამ პირველ დაწყებითის განათლების საქმეს ქონებრივად ვერაფერსა ჰშველოდა და თანაგრძნობა საქმედ ვერ გადაექცია. მეცნიერი პედაგოგნი პესტალოცცი შვეიცარიაში და ლანკასტერი ინგლისში დიდის გულ-მოდგინებით ადგნენ ამ საქმეს, მაგრამ პირველ-დაწყებით სასწავლებლების საქმე მაინც დამში ვერ მოდიოდა.

მხოლოდ 1830 და 1848 წწ. აბოხებამ გაუკვალა გზა ამ საქმეს და მთავრობანი იძულებულნი შეიქმნენ ერთგულად და მხნედ მოჰკიდებოდნენ პირველ-დაწყებით სასწავლებლების დაარსების საქმეს. ევროპამ რუსეთს ამ საქმეში მხოლოდ ოც-და-ხუთის, ოც-და-ათის წლით წაუსწრო წინ, შემდეგ ეს ჭეშმარიტი და აუცილებლად დასაკმაყოფილებელი საჭიროება რუსეთშიაც იყო დანახული. პირველშივე, თუ უმრავლესობა არა, უმცირესობა მაინც დარწმუნდა, რომ ჩვენის საუკუნის ერთათვის ერის განათლება იგივე სიკვდილ-სიცოცხლის საქმეა და რომ აწინდელ სახელმწიფოთა დიდება ნასწავლ და გაგებულ ადამიანთა უმრავლესობაზედ უფროა დამოკიდებული, ვიდრე ჯარის-კაცთა უმრავლესობაზეო. კარგმა, ქვეყნისათვის საკეთილო და სასარგებლო აზრმა თუ ერთი ოდნავ მაინც ფეხი მოიკიდა, მერე გზას უეჭველად გაიკვალავს და აღარ აღმოიფხვრება, რაც უნდა მრავალი დაბრკოლება დახვდეს წინ, და რუსეთშიაც სწორედ ასე მოხდა. პირველში თუ რიცხვით მეტად მცირე მომხრე ჰყავდა ერის განათლების საქმეს, შემდეგ ამათმა რიცხვმა ისე იმატა, რომ რუსეთის ერთის მინისტრის ერთის ამხანაგის მიერ ასეთი აზრიც-კი წარმოითქვა: ჯვარის-წერის ნება არ მივცეთ იმათ, ვისაც წერა-კითხვა არ ეცოდინებაო.

მარტო ეს ერთი მაგალითი აშკარად ამტკიცებს, რომ საერთო საჭიროება ერის პირველ-დასაწყისის განათლებისა უკვე დანახული იყო, სხვათა შორის, მთავრობის წარმომადგენელთაგანაც და ამ საქმეს ჩქარა უნდა ჩაჰყროდა საძირკველი, სიტყვა საქმედ უნდა ქცეულიყო. როგორც ყოველთვის, ამ ხელადაც მთავრობის ფეხის ხმას სხვებიც აჰყვნენ და, როგორც ვსთქვით, მესამოცე და მესამოცდა-ათე წლებში რუსეთში გულმოდგინედ მიჰყვეს ხელი პირველ-დაწყებით სასწავლებლების დაარსებას. რაკი გადაწყვეტილ იქმნა, პირველ-დაწყებითი სასწავლებელი აუცილებლად საჭიროაო, ახლა ის გახდა სალაპარაკო, თუ რა ტიპის სასწავლებელი უფროა სათანადო დ ღირსი ჩვენის თანაგრძნობისაო. ორ გვარი სასწავლებელი დაიბადა — საეკკლესიო-სამრევლო სასწავლებელი და სამინისტროს და ერობის სასწავლებლები, 1874 წლის 25 მაისის დებულებით დაარსებულნი.

აი, ამ ორ გვარმა სასწავლებელმა დაუწყო ერთმანეთს ცილობა და ხან ერთი იმარჯვებდა და ხან—მეორე, რადგან მთავრობა ხან ერთს შეჰხედავდა ხოლმე წყალობის თვალით და ხან—მეორეს, ხან ერთი იყო ჩათვლილი კანონიერ შვილად და მეორე-კი—გერად და ხან მეორეს ედირსებოდა ეს პატივი და პირველი-კი შევიწროებაში იყო, უყურადღებოდ თავ-მინებებული და დედამიწასთან გასწორებული. ასე მიდიოდა საქმე ამ უკანასკნელ დრომდე, ვიდრე წრეულს 4 მაისს მთავრობამ საეკკლესიო-სამრევლო სასწავლებლებს არ მისცა უპირატესობა, მასზედ არ დაამყარა დიდი იმედი სწავლა-განათლების მოფენისა ხალხში და მასვე არ მიანდო, „მართლ-მადიდებელ ეკკლესიის საფარველსა ქვეშე მოზარდს თაობას უნდა ასწავლონ ჭეშმარიტებანი სჯულისა და ქრისტიანობრივის ზნეობისა და განუმტკიცონ ერთგულება ტახტისა და მამულისადმიო“.

ამ მთავრობის მიერ საეკკლესიო-სამრევლო სასწავლებლების შეწყნარებამ ამ მცირე ხანშივე უკვე დიდი ადგილი დააჭერინა ცხოვრებაში ასეთს სასწავლებლებს და ის ნაყოფი მოიტანა, რომ ყველგან რუსეთში დიდის ხალისით დაიწყეს ასეთის სასწავლებლების დაარსება, და, ამას ვინა სჩივის, სამინისტროს და ერობის სასწავლებლებიც-კი საეკკლესიო-სამრევლო სასწავლებლებად გადააკეთეს. მაგალითებრ, ვოლოგდის გუბერნიაში უსტიუგის ერობამ თავისის სასწავლებლების ნახევარი უკვე საეკკლესიო-სამრევლო სასწავლებლებად გადააქცია; ორმა სხვა ერობამ კიდევ, სოლვიჩეგოდსკისა და იარენსკისამ გადასწყვიტა, რომ საეკკლესიო-სამრევლო სასწავლებლებად გარდავქმნათ ჩვენი სასწავლებლები, ის სასწავლებლები, რომელიც უკვე ოცი წელიწადია რაც არსებობენ ამ მაზრებში და დიდი სარგებლობა, დიდი ნაყოფიც მოაქვსო.

მთავრობაც თითქოს თანაუგრძნობდა ამ ერთ გვარ სასწავლებლის მეორე გვარად გარდაქმნა-გარდაქცევას, რადგან ამას წინად განკარგულება გამოვიდა, რომ ერობის უფროსები წევრებად უნდა ითვლებოდნენ საეპარქიო სამოსწავლო საბჭოსი საეკკლესიო-სამრევლო სასწავლებლების საქმეების შესახებ მოლაპარაკების დროსაო. აქამდის თუ რუსეთში დიდის გავლენის მქონებელი სამღვდელოება ჰქადაგებდა ამ საეკკლესიო-სამრევლო სასწავლებლების საჭიროებას, ეხლა იმათ ერობის უფროსებიც მხარში ამოუდგებიან და შემდეგში, ეჭვი არ არის, უფრო რიხი და ძალა მოემატება ასეთს სასწავლებლებს და სრულიად დასჩაგრავს ერობისა და სამინისტროს სასწავლებლებს, თავისს უწინდელს დამჩაგვრელებს.

უკანასკნელს წერილში ვეცდებით გამოვირკვიოთ ის საგანი, თუ ჩვენში როგორ იმოქმედა ამ მთავრობის მიერ საეკკლესიო-სამრევლო სასწავლებლების შეწყნარებამ და აგრეთვე რა სახის სასწავლებელია უფრო სასურველი და სასარგებლო, როგორც ვსთქვით, საზოგადოდ რუსეთისა და კერძოდ ჩვენთვის.

მანოელიძე

*) იხ. „ივერია“ № 120.

## ახალი ამბავი

*** წელს ტფილისის რეალურს სასწავლებელში სულ ცამეტს დაუმთავრებია სწავლა და ამათში, ქართველი მხოლოდ ერთია—ჯანდიერი სვიმონი, ერთი გერმანელი—ვილჰემ შვარცი, ერთი მაჰმადიანი—აბდურაჰმან ახვერდოვი, ორი პოლშელი—მეჩისლავ ტიშეცკი და ალექსანდრე ცინგლინსკი, ოთხი სომეხი—არუთინ კოხტიევი, ბაღდასარ კოჩაროვი, მიხეილ ლომიზე და ნიკოლოზ პაპოვიანი და ოთხიც რუსი—ბიქტორ ალექსანდროვი, ანდრია ბარსუკოვი, ვლადიმერ შეგიჩევი და გიორგი ლავროვი.

*** კვირას, როგორც ნათქვამი იყო, კომისიამ სსინჯა წყლის გამომყვანი მილები, რომ საქმით შეემოწმებინა ის ანგარიში მილის წყლის კანტორისა, რომელიც წარმოუდგინეს საბჭოს. ნახევარი ამ კომისიისა ქალაქის თავის თავ. არღუთინსკი-დოლგორუკითურთ ავჭალაში გაემგზავრა და მეორე ნახევარი, ბ-ნის იზმაილოვითურთ ტფილისში დარჩა, ვაგზლის ზემოდ, აუზთან.

ავჭალიდამ, სადაც მილის მანქანებია გამართული, ტფილისამდე ტელეფონი აქვს ქალაქს გაყვანილი, და ამ ტელეფონით ორი ნახევარი კომისიისა ერთმანეთს ატყობინებდა ყოველსავე გარემოებას. იანგარიშეს დაწვრილებით და აღმოჩნდა, რომ $^3/_4$ საათის განმავლობაში მილის წყლის კანტორა ანგარიშობდა, 15,426 ვედრა წყალი გამოვა მილებშიო, მაშინ, როდესაც აუზში მოიყარა თავი ამდენისავე დროს განმავლობაში 16,159 ვედრა წყალმა, ე. ი. კანტორის ნაანგარიშევზე უფრო მეტმა 733 ვედრით.

აქედამ ის დასკვნა გამოიყვანეს, რომ 24 საათის განმავლობაში ავჭალიდამ ქალაქში შეიძლება გამოვიდეს მილით 517,088 ვედრა წყალიო.

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ ნაშთი მეხუთე საუკუნისა, ეგრედ წოდებული ჯვარის ეკკლესია, რომელიც მცხეთის გასწვრივ, მტკვრისა და არაგვის მარცხენა ნაპირას მაღლობზედაა აგებული, სასულიერო მთავრობას ჩაუბარებია ყოვლად სამღვდელოს ეპისკოპოსის ალექსანდრესათვის, რომელიც აპირებს თურმე ამ მონასტრის განახლებას და რიგიანად მოწყობას.

12 ივნისს, ამ ეკკლესიის დღეობის დღეს, მწირველი ყოფილა ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე.

*** ამას წინად ყარაიაზედ, სადაც კალოის საწყვეტად მრავალი მუშა იყო გაწვეული, ერთ-ერთი ზედამხედველი მუშებისა თავ. კ. ბებუთოვი დასჭრა ტყვიით ახალგაზდა ყმაწვილმა კაცმა აღნიაშვილმა. დაჭრილი ბებუთოვი ტფილისს ჩამოიყვანეს და საავადმყოფოში დააწვინეს.

შაბათს, 15 ივნისს, თავ. კ. ბებუთოვი მძიმე ჭრილობისაგან გარდაიცვალა.

*** ორშაბათს ახლად ამორჩეულმა ქალაქის გამგეობის წევრმა ი. ა—ძემ ივანენკომ ფიცი მიიღო თავის მოვალეობის ერთგულად და კეთილსინიდისიერად აღსრულებისა.

*** ბორჯომი. ბორჯომის ფოსტის გამტეხელნი აღმოჩნდნენ, ორი ძმა ჯოჯუა—ერთი ამათგანი ემსახურებოდა ამავე ფოსტის კონტორაში და ერთიც კაპანაძე. ეს უკანასკნელი გამოტყდა და დაწვრილებით აღიარა, როგორც ჩაედინათ ეს ავაზაკობა. ამასთანავე გამოტყდა, რომ შარშან ბორჯომს მეტიველების გაცარცვის საქმეში მეც ვერიე იმ სამს კაცთან, რომლებიც დაისაჯენ, და მე გადავრჩიო.

ამ ამბის შემდეგ კაპანაძე განათავისუფლეს, ვითომც იგი დამნაშავე არ ყოფილიყოს? პოლიციამ მხოლოდ შორი-ახლოს ადევნა თვალი. მეორე დღეს გაუდგა ლივნისაკენ ორის ვერსის სიშორეზედ ბორჯომიდგან და ერთს დანგრეულს ეკკლესიასთან საფლავის ქვის ქვეშიდგან-კი ამოალაგა ფასიანი ნივთები. პოლიციელებმა, რომელნიც შორი-ახლოს ადევნებდნენ თვალს, ამ დროს სტაცეს ხელი და გაბოჭეს. ნივთები იპოვნეს, მართალია, მაგრამ ფული-კი დღესაც ვერ აღმოუჩენიათ. დამნაშავენი ამბობენ, რომ ერთს სახლში შევინახეთ ყაბალახით და სხვას მოეპარაო. კაპანაძე სხვებსაც ასახელებს თავის ამხანაგებად.

*** ბათუმი. აქაური მოვაჭრე სამსონ დანელია ათს ამ თთვისას სტუმრად წასულა თავისს ნაცნობთან, რო-

მელიც ჩვენის ქალაქიდამ შვიდის ვერსის მანძილზე ყოფილა, და სამი დღე-და ღამე უკან არ დაბრუნებულა. რასაკვირველია, ამ მოვაჭრეს ნოქრები შეწუხებულან და ძებნა დაუწყიათ, კიდევაც უცნობებიათ ადგილობრივის პოლიციისათვის. პოლიციამ მოიკითხა იმ ოჯახში, სადაც დანელია სტუმრად ეწვია. მასპინძელს პოლიციისათვის გამოუცხადებია, რომ დანელია მოვიდა ჩემთან, მაგრამ კიდეც წავიდა აქედამაო. პოლიციამ იმ ოჯახის ერთი მოსამსახურეთაგანი მაინც შეიპყრა და დააპატიმრა. დღესაც დაეძებენ დაკარკულს დანელიას, მაგრამ ვერ უპოვნიათ.

*** მთაწმინდის ეკკლესიის გალავანში, სხვათა შორის, განისვენებს გვამი დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანისა. პირველს ხანებში მხურვალედ გამოაცხადეს სურვილი, განსვენებულის საფლავზედ ძეგლის აგებისა, მაგრამ დღემდე ეს საქმე სიტყვად დარჩა და საფლავი განსვენებულის დ. ყიფიანისა არა თუ ძეგლს—უბრალო ქვასაც არ ჰღირსებია აქამომდე.

გაზ. „ტ. ლისტოკ“-ი ამის შესახებ აი რას ამბობს: „ყველას ახსოვს, რა დიდის ამბით ჩამოასვენეს ქალაქ სტავროპოლიდამ გვამი განსვენებულის ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისა და დაასაფლავეს აქ. ქართლის თავად-აზნაურთა წარმომადგენელის პირით წარმოთქმული იყო, რომ თავად-აზნაურობა თვითონ იკისრებს ძეგლის აგებას განსვენებულის საფლავზეო, მაგრამ მწუხარებამ ყველას გაუარა და საფლავი ამ ჟამად მიწასთან გასწორებულია. ვისაც მისი მოძებნა უნდა, ეკკლესიის დარაჯი თუ დაეხმარება, თორემ ვერ მოსძებნის. ნეტავი რასა ჰფიქრობენ შვილები და ახლო ნათესავები განსვენებულისაო?“—ასე აბოლოვებს გაზეთი თავისს სიტყვას.

*** სოფ. ლილოდამ ატყობინებენ გაზ. „კავკაზ“-ს, რომ ამ დღეებში ჩვენში დიდი წვიმები იყოვო. წვიმას სეტყვაც მოჰყოლია და, როგორც კორესპონდენტი იწერება, კვერცხისოდენა ყოფილა და დიდად დაუზარალებია ნათესები. ზარალს ანგარიშობენ 10.000 მანეთამდე. ამავე დღეს საგარეჯოს არე-მარესაც სწვევია სეტყვა და იქაც დიდი ზიანი მიუცია.

*** გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“-ს სწერენ თელავიდამ, რომ კვირას, 16 ივნისს, მაზრის უფროსის სადგომში, სადაც სამაზრო სამართველოც იმყოფებოდა, ცეცხლი გაჩნდა და მთლად ერთიანად გადაიწვაო. ცეცხლი ისეთის სისწრაფით მოსდებია მთელს სახლს, რომ ავეჯეულობისა და რაც-კი რამ იყო სამმართველოში, იმათ გამოტანას ვინ დაეძებდა, სახლში მყოფთ თავისი თავი ძლივს თურმე ცოცხალი დააღწიეს. ცეცხლს დიდი ზარალი მიუცია.

*** 17 ივნისს მჭედელი მიხეილ მოგილოვი თავის დასარჩობად მტკვარში გადავარდა. მაგრამ მალე მიეშველა ავეტიკ აგასოვი და გადაარჩინა. თავის დარჩობა სიღარიბისა გამო მოუწადინებია.

*** ამავე დღეს ნახიჩევნის მცხოვრებელი სტეფანე ბაიათის-ძე არუთინოვი მტკვარში ბანაობდა და დაირჩო.

---

## არჩილური, შვიდ-თავი

(საამდროო ამიცანები)

—

არ გამოადგა სალექსოდ ნივთ-მა-
დმერთებთა აზრები,
ნედლის და უმის მასალით აავსო წიგ-
ნის ბაზრები.
ტრფობას ვერ მიხვდა, თუმც სძებნა
მოდის ბრძენთ მონასაზრები,
ოღონდაც ვერ მოათავსა ბუსთან ქო-
რები მწყაზრები...
ნეტა რად ჰბოჭა რიყის ქვა, რად გა-
დაყარა ფაზრები?..
სიყრმიდამ წერას ჯახირობს და ვერ
სცნო მუზთა მაზრები.

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. მცხეთა.** უმეტესს ნაწილს ჩვენის დაწინავებულის საზოგადოებისას ეცოდინება, რომ უწინ საქართველოს სატახტო ქალაქი მცხეთა იყო. ამას ისტორიას გარდა გვიმტკიცებენ ის დიდებულნი ნაშთნიც, რომლითაც ძლიერ მდიდარია როგორც მცხეთა, აგრეთვე მისი გარეშემო ადგილები. კიდეც მისთვის ეტანებოდნენ მას არხეოლოგიურის აზრით, როგორც უცხოეთის ნასწავლნი, აგრეთვე ჩვენებურნიც. მცხეთის მახლობლად, სამხრეთის მხრივ, მონასტრიდგან დაწყებული 50—60 საჟენის მანძილზედ თითქმის ბებრის ციხემდე, თავით ბოლომდე რამდენჯერმე გაუთხრიათ ჩვენის მამა-პაპის საფლავები (აკლდამები) და, როგორც აქაურები ამბობენ, მრავალი ნივთოულობა უპოვნიათ. ეხლა-კი აღარავინ ეწვევა ხოლმე მცხეთას, თითქოს რაც შესანიშნავი რამ იყო, სულ წაიღეს და აქ აღარაფერი მოიპოვებოდესო. ამასობაში მდიდარს ადგილს ახელოგიურის ნაშთებით კიდევ ბევრი რამ მოიპოვება, რაიცა ძვირფასს განძს შეადგენს ჩვენის ისტორიისათვის. მაგალითად, მე მითხრეს ამას წინად, ერთი ადგილობრივი მცხოვრებელი სთხრიდა ჰასა და იპოვნა კირგა მოზრდილი ვერცხლის სურაო. ზოგი იმასაც ამბობს, რომ ძველი ფული იპოვნა, რომელსაც წარწერაცა ჰქონდაო. ვინ იცის, რა წარწერა იყო, იქმება ამ წარწერის ორი სიტყვა დაფარულს და გამოურკვეველს წარსულს აშკარავებდა. ამას გარდა, მე თვითონ ვნახე ერთი აქაური მკვიდრი, გვარად მრევლიშვილი, რომელმაც მაჩვენა რამდენიმე წარწერიანი სპილენძის ფული. რა დროისა იყო ეს ფულები, ვერა გავიგე-რა, მხოლოდ ეს კი ვკითხე, ბევრი გაქვს ამისთანა, თუ ცოტა და სად იპოვნე მეთქი. მრევლიშვილმა მიპასუხა, რომ ესენი ჩვენის სახლის წინ ვიპოვნე, ნასახლარში, თუ ნაორმალშიო. მრევლიშვილმა ფული გვიჩვენა მე და ერთს აქაურს გლეხს. როცა წავიდა, აქაურს ვკითხე: მართლა მრევლიშვილი აქ სადმე ჰპოულობს ფულს მეთქი, და ისიც დაემოწმა. შემდეგ აქაურმა მცხოვრებელმა, გვარად ხერუმოვმა, მე და ერთს ჩემს ამხანაგს გვიჩვენა ძველი სპილენძის ფული, ვგონებ, ხუცურის წარწერით. ამანაც მითხრა, რომ ბევრი მაქვსო ამისთანა და კიდევ სხვა ნაირი ძველი ფულიო, ეს ამბავი შემთხვევით გავიგე, შეიძლება ბევრს სხვასაც ჰქონდეს აქაურს, არ აჩენდნენ სხვა-და-სხვა მიზეზის გამო და, ბოლოს რაკი პატრონი გაუჩნდება, გამოაჩინოს. კარგი იქნებოდა, რომ ჩვენთა სიძველეთა მოყვარენი ყურადღებას მიაქცევდნენ ამ გარემოებას და როგორმე მოიპოვებდნენ ამ ნაშთებს, ვიდრე მპოვნელს არ დაუკარგავს და ხელიდგან არ გამოსცლია.

გ. მ—ლი

---

**სოფ. მეჯრუხევი.** გაზაფხულს აქეთ გორის მაზრაში სამი ავაზაკი დაიარება და მთელს მაზრას შიშის ზარსა სცემს. აი რა ხმა ისმის ხალხში ამ ავაზაკებზედ. ზოგნი ამათგანი ჯავის ხეობიდან არიან, ზოგნი კავკავის მხრიდგან. ეს სამი ავაზაკი ხან ერთად დაიარება, ხან ცალკე. დღეს ერთს კუთხეს ეწვევიან, ხვალ უცბად მეორეს, ზეგ—მესამეს და სხვ. ამ ნაირად მთელს არე-მარეს შიშის ზარსა სცემენ.

აქამდის მარტო გზაში უხვდებოდნენ ხალხს, ახლა სახლშიაც უხდებიან; აქამდის ძარცვა-გლეჯას სჯერდებოდნენ, ეხლა-კი კაცის კვლასაც მიჰყვეს ხელი. როგორც ამბობენ, ამათ გაუძარცვავთ სოფ. ერედვში მღვდელი და დიაკვანი, ამათვე ჰბრალდებათ გლეხის ს. შოშიაშვილის გაძარცვა გორიჯვრის ძირში. გარდა ამისა ამათ მოუტაცნიათ ორი ქალი და თანვე დაჰყავთ, ამათვე დაუჭრიათ სოფ. არდვისში ძმანი დვალიშვილები ზედ სუფრაზედ—ერთი სასიკვდილოდ და კიდეც მომკვდარა, მეორე დაუსახიჩრებიათ. წვრილმანი ქურდობა და ძარცვა-გლეჯა ხომ ბევრისგან ბევრია.

სოფელს მეჯრუხევში სულის-წმიდის დღეს უსანეთობისობა იცის. მლოცავი ჯერ უსანეთის მთაში მიდის წინა დღით და დღეობისათვის მეორე დღეს ჩამოიკრიბება ხოლმე. წელსაც ჩვეულებისამებრ წავიდა მლოცავი, მაგრამ ნახევარ გზა არ გაეარა, რომ გულ-დახეთქილები უკანვე ჩამოცვივდნენ იმ ავაზაკების წყალობით. ესევე მომხდარა ცხინვალში დღეობა-დღეს—ზღუდრობას. თუმცა შეიარაღებული ყაზახები იყვნენ დარაჯებად, მაგრამ ამისდა მიუხედავად, შეიარაღებული ავაზაკები ბუზს არ ისვამდნენ თავზედ, ცხინვალში არხეინად დასეირნობდნენ თოფებით ხელში და ადგილობრივს მთავრობას მუქარით იხსენიებდნენ. მრავალჯერ უსეირნიათ ამათ გორშიაც ღამით თუ დღით და თუმცა მათ სადევნელად ხშირადაც ამხედრებულან, მაგრამ ამაოდ. იმათი კადნიერება და ხალხის შიში იქამდე მივიდა, რომ ვისაც-კი შეუკვეთავენ ბინა აღმოგვიჩინე, ან სასმელ-საჭმელი გამოგვიგზავნეო, უარს ვერავინ ეუბნება.

სავალალო და სავაგლახო უფრო ის არის, რომ სახელი იმათია და სახრავი-კი სხვისა. რასაც ესენი ნავნევს უშვრებიან ხალხს, ათს იმდენს სხვები. ვინც ვისს გიძარცვასაც მოინდომებს, ოღონდ იარაღში იჯდეს, თორემ ადვილია. ამბობენ ამათის მოკვლის ნება-რთვა გამოვიდაო, მაგრამ რიგიანად გამოცხადებას-კი ვერავინ ეღირსა და ვინ რას გაიგებს, მართალია, თუ ტყუილი. ხალხი დიდს შეწუხებაშია და იმასა ნატრობს, რომ ჩქარა მოეღოს ბოლო ამ ავაზაკობასო.

უსანეთობამ მეჯრუხევში კვლავინდებულად უხიფათოდ არ ჩაიარა. ერთი ცხენი და ერთი ხარი გააშრეს, ორი ადგილობრივი მცხოვრები დასჭრეს, ერთი ზურგშია დაჭრილი, მეორე—ბეჭის ქვემოდამ გულ-ღვიძლამდე ხანჯალ-დავლებულია. დარაჯებისა და მამასახლისის ჭაჭანება არ იყო მაშინ.

მეჯრუხეველი

---

## საყურადღებო საგანი

(წერილი რედაქციის მიმართ)

ამ წერილში მსურს შევეხო ერთს ფრიად საყურადღებო საგანს. ამ საგნის გამორკვევის დროს თვით საქმის ვითარება ითხოვს, რომ მოვიხსენიო ერთი ყმაწვილთაგანი, რომელსაც მე თვითონაც პატივსა ვცემ. ხოლო ვინაიდგან დღეს ჩვენში მეგობრობისა და ნაცნობობის „ხათრის გატეხვა“ დიდ ცოდვად აღიარებულია, ამიტომ წინადვე დარწმუნებული ვარ, რომ ამ გვარ ცოდვილად და მეგობრის მოღალატედ მეც ჩამთვლიან. თითქოს ერთმანერთისათვის პასუხის გაცემა და ერთურთთან გამოხმაურობა რითიმე არღვევდეს მეგობრობასა და ძმობას! მიუხედავად ამ გვარს შიშისა, ქვემორე მოსახსენებელის საქმის მრავალ-მნიშვნელოვანება არ მაფრთხობს და მაბედვინებს გაგიზიაროთ ყოველივე ის, რაც შენიშნული და მტკიცედ შესწავლილი მაქვს.

ამ სამის წლის წინად ბ-ნმა მესხიშვილმა ქართველთა შორის „წერა-კითხვის გამავრცელებელს“ საზოგადოებას შემოსწირა თავის ბიბლიოთეკა. განსვენებულმა დ. ბაქრაძემ ამ ბიბლიოთეკაში აღმოაჩინა ერთი ძველი წიგნი, რომელსაც „შატბერდის კრებული“ უწოდეს. სხვათა შორის ამ კრებულში მოქცეულია უკვე „სახელით ოდენ“ (დაიხსომეთ: მარტო სახელით) ცნობილი ქრონიკა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“.

თუმცა ამ ქრონიკისა და თვით კრებულის შესახებ თავისი წერილები დაბეჭდეს დ. ბაქრაძემა, თ. ჟორდანიამა და ბოლოს ხომ ბ-ნმა თაყაიშვილმა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მთლიანადაც დაბეჭდა, მაგრამ მაინც, გამოტეხილი უნდა ვსთქვა, დღემდე, როგორც ამ კრებულისა, ისე მასში მოქცეულ საქართველოს მოქცევისა ბევრი არა ვიცით-რა.

ამ ყოვლის მხრით შესანიშნავ მე-IX—X-ე საუკუნის ძეგლს დაწვრილებით განვიხილავთ შემდეგში, ხოლო დღეს-კი დავაკვირდებით იმ სამწუხარო გარემოებას, თუ რა ნაირად და როგორ უგულოდ და, მაპატიეთ, უმეცრად, მოჰქცევიან ამ შესანიშნავს ნაშთს მისი მეცნიერულად (?!) შემსწავლელნი.

უწინარეს ყოვლისა უნდა ვსთქვათ, რომ ეს 600 კაბადონოვანი ხელ-ნაწერი არის არა უბრალო და უთავბოლოდ შეწმახნული კრებული, არამედ სისტემატიურად, სინტეტიურის მეტოდით, შედგენილი სამეცნიერო ქრისტომატია.

ქრისტომატიის შემდგენელი წარმოადგენს ცნობებს შესახებ ქვეყნის ბუნებისა, შემდეგ გადადის კაცის შექმნასა და მის დანიშნულებაზე, განიხილავს ფილოსოფიურად მრავალგვარს საგნებს, მოიყვანს მთელს მეცნიერულს ტრაქტატს შესახებ მკურნალობისა, ძვირფას ქვათა, მხეცთა და ბერძნულ, ებრაულ ანბანების შემოღებისას. აქ სხვათა შორის ავტორი გვაძლევს ძვირფასს ცნობებს შესახებ იმისა, თუ ვინ და როგორ შემოიღო ბერძნული ანბანი ფინიკიურიდამ. შემდეგ ამისა დაწვრილებით ავტორი თვალს გადაავლებს ებრაელთა ისტორიას, 12-ტ ნახპეტთა კურთხევას (ნახპეტად ავტორი უწოდს იაკობის 12 შვილთ) და ამას რომ ათავებს, მერე მოჰყვება საზოგადო განხილვას საქართველოს ისტორიისას მე-V-ე საუკუნიდგან ქრ. წინ ვიდრე მე-VIII—IXსაუკ. ქრ. შემდეგ და ამ ისტორიულს მიმოხილვას უწოდს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. აქ უმთავრესს თვისს ყურადღებას ავტორი აპყრობს წმ. ნინოს ცხოვრებას და საქართველოში ქრისტიანობის შემოღების ამბებს. შემდეგ ამ „ქართლის მოქცევისა“ ქრისტომატიის ავტორი ფილოსოფიურ-ღვთის-მეტყველურად განიხილავს ყველაზე შესანიშნავ ფსალმუნთა. აქ ავტორი წარმოადგენს მთელს ისტორიას ფსალმუნების შედგენისას, აგრეთვე იმას, თუ რომელ ფსალმუნში რას წინასწარმეტყველობს მეფე დავით. სხვათა შორის ერთის ფსალმუნის ერთის მუხლის განხილვის დროს ამბობს, რომ აქ დავითი იგულისხმებს ჩრდილოეთის ერსაო—გოგთა და მაგოგთაო.

ამ ფსალმუნის განმარტებით, რომელსაც ავტორი უწოდს „თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ“, თავდება ეს მეცნიერული ქრისტომატია მე-IX—X საუკუნისა.

საზოგადოდ, ეს ქართული გონებრივი ნაღვაწ-ნაშრომი ნაშთი იმდენად შესანიშნავია და იმდენს საყურადღებო ცნობებს შეიცავს, რომ შეუცდომელად შეგვიძლიან მას ვუწოდოთ „ენციკლოპედიური ქრისტომატია მე-IX—X საუკუნისა“ და ეს ქრისტომატია შესანიშნავია არა თუ მარტო ჩვენ ქართველთათვის, არამედ, საზოგადოდ, მთელის მსოფლიო ისტორიისათვისაც, რადგან იგი შეეხება მსოფლიო საკითხავებს და ფრიად საყურადღებო ცნობებს გვაძლევს საკაცობრიო ისტორიისა და მეცნიერებისათვის. კერძოთ ჩვენთვის, ქართველთათვის, იგი, როგორც ძველი ნაშთი, საუნჯეა ჩვენის ენისა, ლიტერატურისა, ღვთისმეტყველებისა, პალეოგრაფიისა, ისტორიისა, გეოგრაფიისა და სხვათა მეცნიერების შტო-დარგთა შესასწავლად.

ასეთის საუნჯის გაცნობა დიდი ხანია გულით მინდოდა და აი მხოლოდ დღეს მომეცა ღონე მის შესწავლისა.

მე აქ არ შევეხები დ. ბაქრაძის წერილებს და არც თ. ჟორდანიას შენიშვნას ამ კრებულის შესახებ, რადგან მათ ეს წიგნი ხელში ცოცხანს არ ჰქონიათ და, გარდა ამისა, იგინი უფრო ქართლის მოქცევას დაჰკვირვებიან, ვიდრე მთელს კრებულს.

დაგვრჩა ბ-ნი ე. თაყაიშვილი, რომელიც ამ კრებულის და მასში მოქცეულ ქართულის მოქცევის რედაქტორობას ჩემულობს. ვნახოთ, რა ფასისაა მისის რედაქტორობის ნაჭირნახულევი.

სიტყვას არ განვაგრძობთ და საქმეს პირდაპირ შევუდგებით. ე. თაყაიშვილის მიერ დაბეჭდილი „სამი ისტორიული ქრონიკა“ და „წმ. ნინოს ცხოვრება“ სავსეა მრავალ გვარის შეცდომებით, რომელთაგან ზოგი დაუდევრობის ნაყოფია, ზოგი გაუგებრობისა და ზოგიც, უკაცრავად-კი ნუ ვიქნები, მტკნარის უმე-

ცრებისა. შეცდომები იმდენია და ისეთია, რომ მკითხველი გაკვირვებას ეძლევა და ვერ წარმოუდგენია, თუ ისეთი ზარითა და ზეიმით გარედაქტორებული კაცი, რომელიც თავისს დაუსრულებელს წინასიტყვაობაში გვპირდება ტექსტის უცვლელად გადმოწერას, როგორ ვერ ამჩნევს ამ შეცდომებს. რასაკვირველია, ჩვენ აქ ყველა შეცდომებს თაყაიშვილის წიგნებიდამ ვერ ამოვწერთ, რადგან, ყველა ამ შეცდომების ჩამოვლას მთელის ტექსტის გადმოწერა დედნიდამ ვარჩიეთ. ამიტომაც, თუ ნებას მომცემთ, ჩამოვთვლი ოციოდეს ხელდახელ:

| ე) თაყაიშვილი. | დედნის (კრებული) ტექსტი. |
|---|---|
| ა) მწრაფელ აღაშენა ეკლესიაჲ ქუემო სამოთხესა შინა, რომელი თვით აღემართა (გვ. 16). | მწრაფელ აღაშენა ეკლესიაჲ ქუემო სამოთხესა შინა და სუეტი იგი იყო ძელისაჲ, რომელი თვით აღემართა. |
| ბ) ანუ ვითარ ჭინდოვის თუ. | ანუ ვითარ ჭინდოვთს თუ. |
| გ) კორკსა ჩემსა. | კორკად ჩემსა. |
| დ) უხილავს თუალთა ჩემთა ზეცით გარდამო (გვ. 3). | უხილავს თუალთა ჩემთა ზეცით გარდამოსულთა (გვ. 448). |
| ე) მოიხუნეს საწერელნი (გვ. 3) | მოხოლოდ იხუნეს საწერელნი (გვ. 449). |
| ვ) ესე შეიშუნეს (გვ. 10). | ესე შეიშურვეს (გვ. 454). |
| ზ) ღვთისა, (გვ. 11). | ოფლისა (გვ. 454). |
| ჱ) არტაკრად (გვ. 10) და აქვე შეხიშნვაა თაყაიშვილისა, რომ ეს სიტყვა ქართლის ცხოვ. ივითხება ანტარაკად. | ანტაკრად (გვ. 454). |
| თ) და გამოვიდა ურიცხვი (გვ. 20). | და გამოვიდა ერი ურიცხვი. |
| ი) თაყვანის სცემდეს (ყოველგან ასრე). | თაყვანის სცემდეს (ყოველგან ასრე). |
| ია) რომელი ვიცით სმენით (გვ. 29). | რომელი ვიცით სმენილ (გვ, 465). |
| იბ) გარდავიდეს ქრისტეს მოსლვად-მდე წელნი „ჭრ“ (გვ. 30). | გარდავიდეს ქრისტეს მოსლვადმდე წელნი „ჭფ“. (გვ. 465). |
| იგ) და შესაწირავად აქუნდეს (გვ. 30). | და შესაწირავად უჩნდეს (გვ. 465). |
| იდ) მოგვი მთავარი ხვარასნეული იყო (გვ. 30). | მოგვი მთავარი ხვარა სნეულიყო (გვ. 471). |
| იე) და გარდამოვიდა | და გარდამოვარდა. |
| ივ) საკვირველი, რომელიზემო წერილ არს (გვ. 44). | საძირკველი, რომელი ზემო წერილ არს (გვ. 475). |
| იზ) და წარიღო სამოთხესა ცათასა (გვ. 48). | და წარიღო სიმაღლესა ცათასა. (გვ. 478). |
| იჱ) იყო სრბად. | იწყო სრბად. |
| ით) და იწყეს ნათლის ცემად, ვითარცა ზემო წერილ არს (გვ. 50), | დაიწყეს ნათლის ცემად, ვითარცა ზემო წერილ არს, ყოვლისა ერისა. |
| კ) ურმათა ბჭვილთა ყიოლი ფერვიდეს, მთანიც ხმას სცემდეს (გვ. 59). | იყო ურმათა ბჭვილთა ყიოლი, ვიდრემდის მთანიც ხმას სცემდეს. |
| კა) შევქმენით ჩვენ ჯვარი მღდელთა მათ (გვ. 60). | შევქმენით ჩვენ ჯვარი იგი, ვითარცა მღდელთა მათ გვასწავეს. (გვ. 488). |
| კბ) ვითარცა იგი მეტოქელთა წმინდათა უფლისა თანა ისადილეს (გვ. XII). | ვითარცა იგი მოციქულთა წმინდათა ოფლისა თანა ისადილეს. |
| კგ) წმ. ნინოჲ პირ-იცვა, ვითარცა ტყვე, ვითარცა უცხოჲ (გვ. 68), | წმ. ნინოჲ პირველ ვითარცა ტყვე, ვითარცა უცხოჲ (გვ. 493). |
| კდ) მას ჟამსა მე და ასული ჩემი.... | მას ჟამსა მე, ასული ჩემი.... |
| კე) რომელნი დაწერნა კალდამან ღვთისამან, და სულისა მიერ წმიდისა (XI გვ.). | რომელნი დაწერნა კალამმან ღთისამან დავით სულისა მიერ წმიდისა. |

ყველაზე-კი სამწუხარო ის არის, რომ ბ-ნს თაყაიშვილს სრულიად გამოუტოვებია ანუ ვერ წაუკითხავს ფრიად შესანიშნავი ადგილი ტექსტისა და ერთი სიტყვითაც არ მოუხსენებია, რომ დედანში ასის რვა სტრიქონი, რომელიც ვერ წავიკითხეთ და ჩემის რედაქტორობით გამოცემულს წიგნში ვერ ჩავბეჭდეთ. აი თვით ეს სტრიქონებიც ასო-ასოდ და მარცვალ-მარცვლად:

> და ნინო შთავიდა კხოეთა
> და დადგა კაწარეთს: და
> მონათლნა კხოელნი და
> სოჯნი ერითურთ მათით:
> და გარდავიდა კახეთა:
> და დადგა ქცელ დაბას: და
> მოიყვანნა კაცნი მთავ
> არნი: და მონათლნა:

ეს ადგილი ტექსტისა შესანიშნავია მით, რომ აქამდე არა სჩანდა წმ. ნინოს მცხეთიდამ კახეთში მოგზაურობის გზა და ახლა-კი მოყვანილ სტრიქონების შემწეობით ვტყობულობთ, რომ ნინო მცხეთიდამ, ვითარცა „ქართლის ცხოვრებაც“ გადმოგვცემს, მისულა მთიულეთს, იქიდგან ფხოეთს, ხევსურეთს, თუშეთს, ფშავს და შემდეგ კხოეთს (ქართლის ცხოვრების კუხეთი), ე. ი. აწინდელს ხაშმ-საგარეჯო-უჯარმას და დამდგარა კაწარეთს. (ეს კაწარეთი მდებარეობს სოფ. ხაშმის ახლოს. აქ დანგრეული საეპისკოპოსო ეკლესია იყო და წლეულს განაახლეს). აქედგან წასულა ქცელ (ე. ი. ქიციყელ) დაბას ბოდბეს და ერი მოუნათლავს.

აი ასრეთი შესანიშნავი ადგილი გამოტოვებული აქვს ე. თაყაშვილს. ეს სტრიქონები მას უნდა ჩაეტანა მის მიერ გამოცემულ „სამი ისტ. ქრონიკის“ მე 19 გვერდის „ტრდათ მეფემან მოიყვანნა და მონათლნას“ შემდეგ.

ამას გარდა ბ-ნს თაყაიშვილს ვერ გაურჩევია ანუ უმართლოდ ამოუკითხავს ზოგი ერთი ზედ-მინაწერები წიგნისა, ზოგიერთისთვის სრულიად ყურადღება არ მიუქცევია და სხვ. მაგალითებრ მაგიერად „მლოცველის მიქელისითა“, ბ-ნი თაყაიშვილი ჰკითხულობს: „მღვდელის ცოდვილის მიქელისითა“. ტექსტში სულ ორი სიტყვაა და საიდგან-ღა გამოატყვრინა ეს მესამე სიტყვა და „მლოცველი“ ცოდვილ მღვდელად როგორ ამოიკითხა, ეს მარტო მაღალმა ღმერთმა უწყის და ბ-ნმა რედაქტორმა.

ბ-ნს მეცნიერს რედაქტორს ვერც მისი საყვარელი პაგინაცია გამოუთვლია რიგიანად. „პაგინაციის მიხედვით ხელნაწერი უნდა შეიცავდეს 317 ფურცელს, მაგრამ ეხლა დაცულია მხოლოდ 291 ანუ 582 გვერდი და დაკარგულია 37 ფურცელი“. ესეც მართალი არ არის. პაგინაციის, ანუ არა მეცნიერულად და მდაბიურად რომ ვსთქვათ, წიგნის კაბადონების გამოთვლით ხელნაწერში უნდა იყოს სულ 300 ფურცელი ანუ 600 გვერდი (კაბადონი). დღეს დაცულია სულ 292 ფურცელი ანუ 584 კაბადონი, მაშასადამე, აკლია 16 გვერდი ანუ სულ 8 ფურცელი (და არა 37 ფურცელი!)

ხელ-ნაწერის გადამწერი ასრე ალნუსხავს წიგნის ფურცლებს: პირველ რვა ფურცელს გამოსთვლის და დაუსომს ა-ს, მეორე რვა ფურცელს—ბ-ს, მესამეს—გ-ს და ასრე მივა ბოლომდე, სადა აზის ლზ. ამის შემდეგ კიდევ 4 ფურცელია, მაშასადამე, ლზ X 8 და 4 = 300 ფურცელი ანუ 600 გვერდი. წიგნში არის აგრეთვე ერთი დაუწერავი ფურცელი, რომელიც ძველად ანგარიშში მოჰყოლია, ხოლო ახალი დროის მეპაგინაციეს იგი კაბადონების ნუსხიდამ გამოუკლია.

მე ძლიერ ვეჭობ, რომ ჩვენს რედაქტორს წაეკითხოს ხელ-ნაწერი თავით-ბოლომდე. თუ წაუკითხავს, მაშ რითი აიხსნება ის გარემოება, რომ წინასიტყვაობის მე-XXXVIII გვერდზე შემოაქვს ცნობა „ბერძენნი ჩვენ ქართველთა ეკკლესიას უწოდენ მოდად“-ო და ამ უკანასკნელს სიტყვას-კი არა ჰხსნის. თაყაიშვილს რომ წაეკითხა ხელ-ნაწერი, მაშინ იგი უსათუოდ შეხვდებოდა ამ ლექსის (მოდა) განმარტებას: „კბ ქსესტსა ჰქვიან ებრაელთა მოდ. ხოლო მოდი ბერძენთა გამოთარგმნეს და მოდადვე სახელსდებენ. ეგრევე მეგვიპტელნი სახელსდებენ მეტ. ეგრევე სახედ ასურნი და არაბიელნი მოდადვე სახელსდებენ; რომელი გამოითარგმანების აღსარებას, რომელ არს მოდიმ.... აღსარება, აღსარებული და აღმსარებელი“ (იხ. გვ. ხელ-ნაწერისა 244).

დღეს ამით ვათავებ ჩემს შენიშვნას. ამავე საგანს უფრო ვრცლად შევეხები შემდეგ. დედნიდამ უკვე ამოწერილი გვაქვს სიტყვა-სიტყვად, მარცვალ-მარცვლად, სტრიქონ-სტრიქონად, სრულიად უცვლელად მთელი „მოქცევა ქართლისა“ და დანარჩენი წერილებიდამ ისეთი ადგილები და იმდენი, რომ მათის წაკითხვით კაცი შეიგნებს თვით სტატიის შინაარსსა და გაიცნობს მთელს ქრისტომატიას. მართალია კარგი იქნებოდა ყველა წერილები ამ წიგნისა ცალკე დაგვებეჭდა სახელ-წოდებით: „მე-IX—X საუკუნის მწერლობა“, მაგრამ ამას დიდი ფული მოუნდება.

მოსე ჯანაშვილი

## რუსეთი

ძლიერ შეაფიქრა რუსები წლევანდელმა ჰინახულის უიმედობამ. მთავრობაცა და ჟურნალ-გაზეთობაც გულმოდგინედ ლაპარაკობს ამ საგანზე და არ იცის, რით აიცილოს თავიდგან მოსალოდნელი სიძვირე პურისა და რა ღონის-ძიება იხმაროს, რომ ხალხი სიმშილისაგან დაიხსნას. ის უფრო აორკეცებს უბედურობას, რომ ჰირნახულის მოუსავლობასთან სათიბებიც გადახმა გოლვისაგან და ბოსტნეულობაც ყინვებმა გააფუჭა. ამ გვარად არც ხალხს მოუვა წლიური საზრდო და საქონელიც სიმშილით უნდა დაეხოცოს საკვების უქონლობისა გამო. მართალია რუსეთში ბევრჯელ ყოფილა წლევანდელისთანა მოუსავლიანი წელიწადი, ბევრჯელ გამოუვლია და უნახავს სიძვირე ჰინახულისა, მაგ., 1880, 1885 და 1886 წ., მაგრამ წლეულს სულ სხვაა, წლეულს უფრო ძნელიდა გასაჭირია ხალხისთვის პურის ყიდვაცა და იმის სასყიდლად ფულის შოვნაცა და აი რისთვის: უწინ თუ რუსეთში წახდებოდა მოსავალი, ევროპას მაინც თავისი სამყოფი და საკმარი მოსდიოდა, ასე რომ რუსეთისთვის მხოლოდ თავისის ქვეყნის მოუსავლობა იყო სავალალო და საფიქრებელი; ხოლო წლეულს-კი ევროპაშიც დიდი მოუსავლობაა ჰინახულისა და ეს მოუსავლობა ასე თუ ისე რუსეთისათვისაც საშიშოა. ადრევ ბევრჯელ მომხდარა, რომ სიმშილობის დროს რუსეთში ევროპიდგანაც უზიდნიათ პური და თუ იქიდგან არ უზიდნიათ, რუსეთიდგან მაინც აღარ წაუღიათ და ამ სახით მოუსავლობის გამო ჩამოვარდნილი სიძვირე პურისა აღარ გაორკეცებულა იმის გამო, რომ უიმისოდაც მცირე მოსავალი უფრო შეემცირებინოთ საზღვარ-გარედ პურის ზიდვით. წლეულს-კი ევროპაში თითქმის ყველა სახელმწიფოს ბევრი პური დასჭირდება სასყიდლად. მთავრობანი სახელმწიფოთა ამ თავითვე შეუდგნენ თადარიგს და ღონის ძიებათა მოპოვებას სიმშილისა და პურის სიძვირის თავიდგან ასაცილებლად. ზოგგან უკვე მოსპეს გადასახადი სხვა ქვეყნებიდგან მოტანილს ჰინახულზე, რომ ჯერ ერთი, მოვაჭრენი წააქეზონ, ბევრი მიატანინონ, და მეორეც, ხალხს არ დაუძვირონ და არ გაუძნელონ ყიდვა ამ მოტანილის პურისა. ეხლა გერმანიაშიაც აპირობენ ამ გარდასახადის მოსპობას. წინად ის აზარალებდა რუსეთს, რომ სხვა სახელმწიფოებს ხარჯი ჰქონდათ დაწესებული უცხოეთიდან შეტანილს პურზე და იქნება წლეულს იმან აზარალოს, რომ ეს გარდასახადი ისპობა. რუსეთშ-კი არავინ მოიტანს გასაყიდს პურსა, მაგრამ იქიდგან-კი რომ წაიღებენ, ეს ცხადია და ჭეშმარიტი. მაშ როგორ უნდა მოიქცეს რუსეთი ამ შემთხვევაში და რა უნდა იღონოს, რომ გაჭირვებულს ხალხს რაიმე შეღავათი მისცეს. ამ საგანზე ერთი რუსული გაზეთი შემდეგს პასუხს იძლევა: „უნდა როგორმე მოვახერხოთ და საზღვარ-გარედ პურის ზიდვა შევაფერხოთ. ამისათვის საჭიროა, გარდასახადი დავაწესოთ გასაზიდს პურზედ. მაგრამ გაზეთს არც ეს ღონის ძიება მიაჩნია საკმარისად: ჩვენ რომ დავაწესოთ გარდასახადი, სამაგიეროდ უცხო სახელმწიფოები გადასახადს სპობენ და მოვაჭრეთათვის ვაჭრობის პირობანი არ იცვლება და ისევ უწინდელი რჩებაო. ამიტომაც გაზეთი ურჩევს მთავრობას, კარგი იქნება, რომ სრულიად აიკრძალოს პურის საზღვარ-გარედ ზიდვა და ჩვენი მოსავალი ჩვენშივე დარჩესო. ამ აზრს გაზეთი შემდეგის გარემოებიცაც ასაბუთებს. წლეულს კავკასიაში რიგიანს მოსავალს მოელიან და თუ გვინდა, რომ ჩვენ ვისარგებლოთ ამ მოსავლით და არა უცხოელებმა, უთუოდ ასე უნდა მოვიქცეთ, თორემ რაც უნდა დიდი გარდასახადი დავაწესოთ, ვერას გავხდებით, რადგან კავკასიიდგან შავის ზღვით ჰინახულის საზღვარ-გარედ გაგზავნა ძლიერ ადვილიაო და ბევრს ხარჯს არ ითხოვსო.

## წერილი რედაქციის მიმართ

ჩემის ძვირფასის მეუღლის, განსვენებულის დ. ზ—ძის ბაქრაძის ქაღალდების განხილვის დროს აღმოჩნდა ათიოდე პირთა ხელ-წერილი, რომელთათვის დროებით წიგნები უთხოვებია განსვენებულს. აგრეთვე არის რამდენიმე შენიშვნა, თვით განსვენებულის ხელით დაწერილი, რომლიდგანაც სჩანს, ვისთვის მიუცია წიგნები. ეს დროებით ნათხოვები წიგნები იმ პატივცემულთ გვამთ დღესაც არ დაუბრუნებიათ ფაქიზად დასაცველად განსვენებულის ბიბლიოთეკაში.

ამიტომ გთხოვთ, თქვენს გაზეთში გამოაცხადოთ ეს წერილი, რათა, ვისაც აქვს წაღებული წიგნი განსვენებულის დ. ზ—ძის ბიბლიოთეკიდან, უკანვე დააბრუნოს. ხოლო, ვინც არ დააბრუნებს, იძულებული ვიქნები, მათი სახელი და გვარი თქვენის გაზეთისავე შემწეობითვე გამოვაცხადო.

ქვრივი ანნა ბაქრაძისა

## დეპეშა

17 ივნისს

**პეტერბურგი.** სენატორს ბიქტორ არციმოვიჩს, 50 წლის სამსახურის გამო, ებოძა 1-ს ხარისხის ორდენი წმ. ვლადიმირისა.

„Нов. Вр.“ იხსენიებს რომ, როგორც ოფიციალურის ცნობებიდგანა სჩანს, წლეულს რუსეთიდგან საზღვარგარედ იმისი ნაშუათანავი ჰინახული მიდის, რაც 1890 და 1889 წ. გასულაო და, ამბობს, ეს არ ამტკიცებს, ვითომ რუსეთს სიმშილი მოელოდდეს, და თუ ჩვენში ჰირნახული შეძვირდა, ეს გარდა იმისა, რომ მოსავლის იმედი არა აქვთ, თვით ვაჭრების სპეკულიაციის ბრალიცააო.

გუშინ თანადასწრებით გზათა მინისტრისა, სახელმწიფო კონტროლიორისა და სხვათა დიდის ამბით აკურთხეს საძირკველი იმ ტაძრისა, რომელსაც მართლ-მადიდებელ ეკკლესიურ სასარწმუნებო—საზნეობო განათლების გამავრცელებელი საზოგადოება აშენებს.

**ირკუტსკი.** გუშინ ექსპედიცია აკადემიკის რადლოვისა და იადრინცევისა, სულ 18 კაცი, ტოპოგრაფისა, ნატურალისტისა და ფოტოგრაფითურთ გაემართა კიახტიდგან ურგას ფოსტის გზით.

**ბუქარესტი.** ლაპარაკობენ შესახებ იმისა, რომ მემკვიდრე პრინცი ირთავს დედოფლის ფრეილინას ქანწულსს ვაკარესკასაო. მომეტებული ნაწილი გაზეთებისა წინააღმდეგია ამ ქორწინებისა. პრინცს ხანგრძლივ სამგზავროდ ჰგზავნიან.

**პრაგა.** საგიმნასტიკო მოვარჯიშეთა დღესასწაულზე ფრანგი მოვარჯიშებიც მოვიდნენ, რომელთაც აღტაცებულნი მიეგებნენ. გარდა ფრანგებისა მოვიდა აგრეთვე 500 წარმომადგენელი პოლშისა და რამდენიმე მოვარჯიშე პოლშელი და ხორვატელი.

**ბერლინი.** მკურნალთა მიერ დათვალიერებამ აღმოაჩინა, რომ რუსეთიდგან და განსაკუთრებით პოლშიდგან აქ გადმოსახლებულებში ყვავილი გამოჩენილა. დიდი ღონის ძიებანია ნახმარი, რომ ეს ავადმყოფობა არ გავრცელდეს, თუმცა ჯერ არა მძვინვარებს-კი. სიკვდილით ჯერ არავინ მომკვდარა ამ ყვავილის გამო.

ხმებია, რომ, როცა შემოდგომაზე რეიხსტაგში კვლავ დაიწყება სხდომანი, მთავრობა ახლად მოითხოვს ფულს სამხედრო საჭიროებათათვისო.

## პეტერბურგის ბირჟა, 14 ივნისი.

| | მყიდველისა. | | გამყიდველისა. | | გაყიდულისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 6, | 92 | 6 | 94 | — | ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 138½ | | 139 | | — | ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, | 04 | 1, | 06 | — | ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — | ,, | — | ,, | 243½ | |
| —მეორისა . . . . | — | ,, | — | ,, | 223½ | |
| —მესამისა . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . . . . | 212 | | — | ,, | — | ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |

## იმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია ანატოლიისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

### ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| პატიოსანი ადამიანი . . | „ | 5 |
| ლენტის მსგავსნი ჰიები ი. თ. . . . . | „ | 5 |
| მეფე დავით აღმაშენებელი, ისტორიული დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისა . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგ. თ. სახოკიასი. . . . . | „ | 30 |
| სამნი ბრძენნი, ილ. ოკონთელისა. . . . . | „ | 20 |
| ძმური სიტყვა. დ. მაჩხანელისა . . . . . . | „ | 25 |
| იქავე ისყიდება-თორნიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა . . | 1 | „ |

### „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ლექსები, შეკრებილი ალნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდემიმე ლექსი ცახელისა. . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . | 1 | „ |
| ბრძენი . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა, . . . . . | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით . | 1 | 20 |


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 25,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 70,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია'' მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ, въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ".

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.


# ნუსხა

ქუთაისის მიხეილის სათავად-აზნაურო ბანკის

6% გირავნობის ფურცელთა,

გამოსულთა მეოც-და-მეცხრე ტირაჟში, რომელიც მოხდა

31 მაისს 1891 წლისას,

რიცხვით 219,400 მანათისა

ა) 43½ წლის ვადით:

100 მანათის ღირსებისა

2 სერიისა . . . . . . . . № 10.
4 „ . . . . . . . . „ 52.
5 „ . . . . . . . . №№ 138 და 139.
6 „ . . . . . . . . „ „ 176, 177 და 178.
7 „ . . . . . . . . „ „ 298, და 299.
შემდეგის სერიებისა . . . . . „ „ 981, 1020, 1171, 1172, 1310, 1328, 1329, 1428, 1482, 1563, 1626, 1627, 1693 და 1723.

500 მან. ღირსებისა

4 სერიისა . . . . . . . . № 3.
5 „ . . . . . . . . „ 66.
შემდეგის სერიებისა . . . . . №№ 385, 406, 427, 434 და 446.

1000 მან. ღირსებისა

3 სერიისა . . . . . . . . . № 38.

ბ) $18^{7}/_{12}$ წლის ვადით:

100 მან. ღირსებისა

3 სერიისა . . . . . . . . . №№ 37, 42 და 43.
7 „ . . . . . . . . . „ „ 114, 115, 116, 117, 119, 120, და 121.
შემდეგის სერიებისა . . . . „ „ 860, 861, 863, 864, 866, 887, 888, 889, 891, 893, 898, 899, 900, 901, 903, 904, 905, 908, 909, 910, 911, 912, 915, 916, 917, 919, 920, 921, 922, 923, 925, 926, 927, 929, 931, 932, 933, 935, 936, 937, 939, 941, 943, 944, 946, 948, 949, 950, 951, 952, 1093, 1096, 1100, 1101, 1238, 1239, 1240, 1241, 1242, 1451, 1454, 1458, 1462, 1937, 1939, 1946, 1947, 1948, 2043, 2044, 2047, 2053, 2194, 2195, 2196, 2197, 2315, 2316, 2342, 2348, 2526, 2527, 2528, 2762, 2763, 2868, 2869, 2870, 2886, 2887, 2888, 2972, 2973, 2974, 2975, 3072, 3073, 3074, 3075, და 3076.

500 მან. ღირსებისა

3 სერიისა . . . . № 46.
4 „ . . . . . „ 35.
5 „ . . . . . „ 4.
7 „ . . . . . „ 69.
შემდეგის სერიებისა . „ 290, 291, 309, 311, 312, 320, 322, 324, 325, 330, 331, 335, 368, 369, 370, 495, 498, 507, 508, 513, 623, 626, 647, 746, 833, 1012, 1013, 1231 და 1257.

1000 მან. ღირსებისა

2 სერიისა . . . . №№ 35 და 36.
3 „ . . . . . „ „ 23.
4 „ . . . . . „ „ 21.
7 „ . . . . . „ „ 27 და 28.
შემდეგის სერიებისა . „ „ 629, 630, 631, 632, 633, 636, 637, 638, 642, 643, 644, 647, 648, 650, 651, 652, 654, 655, 656, 657, 658, 659, 660, 661, 663, 664, 665, 666, 667, 669, 670, 680, 683, 684, 687, 689, 691, 694, 695, 696, 699, 700, 701, 703, 706, 707, 710, 711, 712, 714, 720, 722, 723, 738, 754, 764, 765, 766, 767, 768, 769, 770, 771, 772, 773, 794, 795, 796, 797, 799, 800, 801, 802, 804, 806, 807, 809, 810, 812, 813, 814, 820, 821, 823, 824, 825, 826, 827, 831, 832, 834, 836, 837, 841, 842, 844, 845, 846, 847, 848, 850, 851, 852, 854, 855, 857, 858, 859, 860, 863, 865, 866, 867, 868, 869, 870, 872, 873, 875, 876, 877, 878, 880, 881, 882, 885, 886, 887, 888, 889, 892, 1003, 1004, 1005, 1205, 1206, 1208, 1210, 1211, 1212, 1583, 1584, 1585, 1586, 1589, 1591, 1592, 1594, 1606, 1608, 1610, 1611, 1612, 1613, 1615, 2282, 2283, 2284, 2287, 2288, 2289, 2494, 2497, 2498, 2499, 2500, 2508, 2511, 2512, 2513, 2515, 2516, 2517, 2518, 2519, 2520, 2941, 3069 და 3091.

### ს ხ ო ლ ი ო:

1) ფულის მიღება გირავნობის ფურცლებზედ, რომელნიც ამ მეოცდა-მეცხრე ტირაჟში გამოვიდნენ, და აგრეთვე მიმომდინარე კუპონებზედ, დაიწყება 1891 წლის 1 ივლისიდგან და შემდეგ ამავე ვადიდგან გაუქმებულ იქნება ზემოხსენებულს ფურცლებზე სარგებლის ძლევა.

2) გირავნობის ფურცლებს ფულის გადახდის დროს თან უნდა ჰქონდეს ყველა კუპონები იმ დროისა, რა დროც ზემოდ არის ნაზვენები; თუ კუპონები სულ არ იქნება დგ დააკლდება, მაშინ დაკლებულ კუპონების ფასი გირავნობის ფურცელთა ღირებულ ფულიდგან გამოირიცხება.

3) ტირაჟში გამოსული გირავნობის ფურცლებზე და აგრეთვე ამ ფურცელთა კუპონებზე ფულის მიღება შეიძლება: ქ. **ქუთაისს**, ბანკის გამგეობაში; აგრეთვე **ს.-პეტერბურგს** სახელმწიფო ბანკსა და ბ-ნ ვაველბერგის საბანკირო სახლში და სახელმწიფო ბანკის ყველა განყოფილებათა და კანტორებში, და **ვარშავაში** ბ-ნ ვაველბერგის საბანკირო სახლში.

4) ამ ნუსხაში ნაჩვენებია ნომრები მხოლოდ პირველის შვიდის სერიისა, რადგან ამ სერიების გირავნობის ფურცელთა ნომრები განცალკევებულია პირველიდგან დაწყებული. შემდეგ სერიებში რვიდგან დაწყებული, სერიების ნომრები არ არის ნაჩვენები, რადგან ამ სერიების გირავნობის ფურცელთა ნომრები ერთი-ერთმანეთს მისდევს და, მაშასადამე, არ განმეორდება.

ბანკის გამგეობა